

სოციოლოგიური აზროვნება და სოციოლოგიური წარმოსახვა ჩარლზ რაით მილსის* მიხედვით

ამირან ბერძენიშვილი¹; კახა ქეცბაია²

¹ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის პროფესორი, ელ.ფოსტა: amiran.berdzenishvili@tsu.ge

²ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: kakha.kecbaia@tsu.ge

„არასოდეს არ თქვამს უარი საკუთარ მორალურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე და არავითარ შემთხვევაში არ გადადიოდა, არც ბიუროკრატიული ეთოსის ანტილიბერალური პრაქტიკა და, არც ლიბერალური პრაქტიკის მორალური უხერხემლობა. გახსოვდეთ, რომ სოციალურ პრობლემათა მნიშვნელობა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებთან მიმართებით, მათი პირადი ცხოვრებით განისაზღვრება“ (ჩ. რ. მილსი).

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ცნობილი ამერიკელის სოციოლოგის ჩარლზ რაიტ მილსის სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფცია. ნაჩვენებია სოციოლოგიური წარმოსახვის აუცილებლობა სოციოლოგიაში, ამ კონცეფციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. სტატიის ავტორები ისეთი საკითხების კრიტიკულ ინტერპრეტაციას იძლევიან, როგორებიცაა: ორიგინალური მეთოდოლოგიის აუცილებლობა სოციოლოგიაში, სოციოლოგიური აზროვნების ახალი წესის საჭიროება, სოციალური საზრისის დინამიკა, სოციოლოგიური წარმოსახვის არსი,

* ჩარლზ რაით მილსი ე.წ. რადიკალური სოციოლოგიის წარმომადგენელია. იგი რადიკალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ამერიკულ სოციოლოგიაში (ალვინ გოულდნერთან ერთად). მისი ნაშრომების თემატიკა სოციოლოგიის მეცნიერების მეთოდოლოგიას, თანამედროვე საზოგადოებაში ხელისუფლების განაწილებასა და ელიტის თეორიას შეეხება. ამერიკელი სოციოლოგები მას „ტეხასელ კოვბოის“ ეძახდნენ. მილსი კი მათ „კაბინეტის ვირთხებს“ უწოდებდა. იგი ამერიკულ პოლიტიკურ ელიტას და დემოკრატიას მძაფრად აკრიტიკებდა.

ჩ. რ. მილსი 1960 წლის აპრილის ბოლოს თბილისში იმყოფებოდა, რა დროსაც აკად. პ. გუგუშვილის სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე ესაუბრა. ამ საუბარს ჩ. რ. მილსი 1960 წელს დაწერილ თავის „წერილებში“ იხსენებს, როგორც მეგობრების შეხვედრას. საინტერესოა ფაქტი, რომ რადიკალური სოციოლოგიური თეორიის ფუძემდებელმა აკად. პ. გუგუშვილის სახით საბჭოთა კავშირში მეგობარი იპოვა“ (იხ. ა. ბერძენიშვილი, კ. ქეცბაია, (2021). სოციოლოგიის საგნის შესახებ პაატა გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის კრიტიკული ანალიზის მიხედვით. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ # 3. გვ. 212-223.

მეცნიერება სოციოლოგიური წარმოსახვის მიხედვით; მეცნიერების ამბივალენტური ფუნქციონალობის გათვალისწინება, ადამიანი სოციოლოგიური წარმოსახვის მიხედვით, გონება და თავისუფლება, როგორც სოციოლოგიური წარმოსახვის ძირითადი პრინციპები, სოციოლოგიური წარმოსახვის ტიპები და სტივ ფულერის ახალი სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფცია, რომლის მაგალითად ისეთი ე.წ. „პროგრესული“ მეცნიერებები გვევლინებიან, როგორებიცაა სოციოზოოლოგია, ევოლუციური ფსიქოლოგია და ქცევითი გენეტიკა. ამ ტიპის სოციოლოგიური წარმოსახვა სოციოლოგების ყურადღებას სამეცნიერო ინოვაციების შესაძლებელ მოულოდნელ შედეგებზე მიმართავს, რომლის კონტროლი მომავალში შეუძლებელი იქნება. ახალი სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფცია ბიოლოგიურ რედუქციონიზმს ემყარება და ნანოტექნოლოგიების მეშვეობით შექმნილი რეალობის კონტროლს საეჭვოს ხდის. ამ ახალმა კონცეფციამ შეიძლება წარმატებით იმუშაოს ისეთ კვლევებში, რომლებიც ჯანმრთელობის რისკებს, დაბერების საწინააღმდეგო დისკურსებსა და ადამიანის სხეულის ახლებურ გაგებას და ინოვაციურ გენდერულ დისკურსებს შეეხება.

სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ სხეულისა და სხეულებრივი ტექნიკების კვლევა თანამედროვე სოციოლოგიაში დრომ მოიტანა. ამიტომ ისეთი პრობლემები, როგორებიცაა სხეულებრიობის საზღვრები, სხეული და ბუნება, კიბერსივრცეში მოცეკვავე სხეულები, ტრანსსექსუალი და ტრანსგედერი სხეულები, სხეულებრივი ფაქტორი სოციალურ ქსელებში და მრავალი სხვა შეიძლება ახალი სოციოლოგიური წარმოსახვის საფუძველზე კვლევას საჭიროებენ, ამიტომ სოციალური მოქმედების კვლევაში უახლესი პარადოქსალური სინთეზების შემოთავაზება და სამეცნიერო ინოვაციების საეჭვო შედეგები, ამბივალენტურობაზე აქცენტირება ამ კონცეფციის ძლიერ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ მისი რადიკალური ხასიათი და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სულიერ-გონითი მხარის უგულვებელყოფა მაინც მიუღებელი იქნება.

სოციოლოგიური წარმოსახვის კიდევ ერთ-ერთ მორიგ პოსტმოდერნულ ვარიანტს წარმოადგენს კიბერ-ადამიანის კონცეფცია, რომლის არსებობა უახლესი ტექნოლოგიებისა და „ინტელექტუალური მანქანების“ - კომპიუტერებისა და ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. ეს მანქანები ხელოვნურ ინტელექტთან ერთად უკვე დიდ გავლენას ადხდენენ თანამედროვე აქტორთა ფუნქციონირებაზე და მათ ახალ ძალაუფლებრივ შესაძლებლობებს სთავაზობენ. ყოველივე ეს ახალი პერსპექტივებისა და გამოწვევების წინაშე აყენებს სოციოლოგიას.

მიგვაჩნია, რომ სოციოლოგიური წარმოსახვის ახალი კონცეფციის საჭიროება, ბუნებრივია, აუცილებელია, გართულებული სოციოკულტურულ დინამიკისა და ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, მაგრამ, ჩვენი აზრით, შემოთავაზებულ კონცეფციებს ჰუმანიზმი და სულიერება აკლიათ, რაც თითოეული მათგანის სერიოზულ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

საკვანძო სიტყვები: სოციოლოგია, სოციოლოგიური აზროვნება, სოციოლოგიური წარმოსახვა, სოციოლოგიური აზროვნების ახალი წესი, სოციალური საზრისი, მეცნიერების ამბივალენტური ფუნქციონალობა, სოციოლოგიური წარმოსახვის ტიპები, ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერ-ადამიანი.

შესავალი: ჩარლზ რაით მილსი ნაშრომში: „სოციოლოგიური წარმოსახვა“ (1959) ამერიკულ სოციოლოგიას აკრიტიკებდა. ეს წიგნი, ფაქტობრივად, ამერიკული სოციოლოგიის სალანძღავი მანიფესტი იყო. მილსის კრიტიკა შეეხებოდა ემპირიული სოციოლოგიის ინდუსტრიასთან (დარენდორფი), რომელმაც სოციოლოგია მეთოდოლოგიაზე დაიყვანა. ამის შედეგი აბსტრაქტული ემპირიზმი და კვლევის შედეგების ბიუროკრატიზაცია გახდა. სპონსორებზე დამოკიდებულ სოციოლოგიას საერთო არაფერი აქვს შემოქმედებითობასთან.

მილსის აზრით სოციოლოგიაში არც ე.წ. „დიდმა თეორიებმა“ (პარსონსი, სოროკინი) გაამართლა, რომლის აბსტრაქტულობის ქვეშ შინაარსობრივი სიღატაკე იმალება. ამერიკული სოციოლოგიის მძაფრი კრიტიკის ფონზე მილსი შექმნილი კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს. იმისათვის, რომ აბსტრაქტულობის ბურუსში არ გაეხვიოს სოციოლოგია კლასიკურ ტრადიციებს უნდა დაუბრუნდეს. სოციოლოგმა ინდივიდუუმები უნდა შეისწავლოს საზოგადოების სტრუქტურისა და იმ ადგილის გათვალისწინებით, რომელიც ამ საზოგადოებას კაცობრიობის ისტორიაში უკავია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მილსი სოციოლოგიაში სამი ტიპის მიდგომის - ბიოგრაფიის, საზოგადოებისა და ისტორიის შესწავლის გაერთიანების იდეით გამოდიოდა. სწორედ ამ სამი მიდგომის გაერთიანებას წარმოადგენს მილსის სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფცია.

ორიგინალური მეთოდოლოგიის აუცილებლობა სოციოლოგიაში: მილსის მიხედვით, სოციალურმა „თეორიამ“ და „მეთოდმა“ არ უნდა დაკარგოს მყარი კავშირი ყოველდღიურობასთან. პარსონსისა და დარენდორფის სოციოლოგიებმა ეს კავშირი დაკარგეს ამიტომ მილსი სოციალურ მეცნიერებათა ახალ კონცეფციას გვთავაზობს, რომელიც „სოციალურ მეცნიერებათა ბიუროკრატიული პროცედურების ერთობლიობად წარმოდგენას ეწინააღმდეგება, რამაც სოციალური შემეცნება მეთოდოლოგიურ პრეტენზიებში გაახვია და სქოლასტიკურ კონსტრუქციებად გადაქცია, რომელთაც სოციალურად მნიშვნელოვან პრობლემებთან არავითარი კავშირი არ გააჩნიათ“ (მილსი, 2001).¹⁷⁶

იმისათვის, რომ სხვადასხვა სოციოკულტურული რეალიები გაიგოს სოციოლოგს მხოლოდ თეორიული პოსტულატების ცოდნა და მეთოდოლოგიური პრინციპების გამორკვევა არ გამოადგება. მილსის აზრით, სოციოლოგიური გამოკვლევის

¹⁷⁶Миллс Ч. Р. Социологическое воображение. М. 2001. гл. 16.

ტექნიკის ცოდნა სოციოლოგობა როდია. ამისთვის დინამიური, კრიტიკული აზროვნება და საკუთარი თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებია საჭირო, რომლებიც სოციალურ გარდაქმნებსა და ღირებულებათა დინამიკას ადეკვატურად ასახავენ. სწორედ მაშინ ჩვეულებრივი სოციალური ფაქტები და მოვლენები სხვა საზრისს შეიძენენ, რაც *სოციოლოგიური წარმოსახვით* მიიღწევა. სოციოლოგიური წარმოსახვის მიზანიც ეს არის: სოციოლოგიების მიერ თავიანთი ორიგინალური მეთოდოლოგიის შემუშავება: „მიმართეთ უპრეტენზიო ინტელექტუალურ ოსტატობას. დაე, ყოველი თქვენგანი თავისი თავის მეთოდოლოგი და თეორეტიკოსი იყოს. პრიორიტეტულად მიიჩნიეთ ინდივიდუალურ მკვლევრად ყოფნა“.¹⁷⁷ ჩნდება კითხვა: რა საჭიროა ორიგინალური მეთოდოლოგია? მილსის მიხედვით, ნებისმიერი თეორია განსაზღვრულია დროსა და სივრცეში, რადგანაც მხოლოდ გარკვეულ პრობლემათა გააზრებისთვის და გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობაში გადასვლის შემთხვევაში გამოიყენება ანუ ახალი ეპოქის ინტერპერტაციისათვის ადრინდელი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები გამოუსადეგარია. „თანამედროვე ეპოქის მთავრმა ორიენტირებმა: ლიბერალიზმმა და სოციალიზმმა, გარემომცველი სამყაროს ადეკვატური ახსნის თავიანთი შესაძლებლობები, ფაქტობრივად, დაკარგეს“, - წერს მილსი (2001),¹⁷⁸ ამიტომ სოციოლოგს მიაჩნია, რომ დროა ე.წ. „უნივერსალური“ მეთოდოლოგიები ორიგინალურით შეიცვალოს, რომელიც სწავლულის, მეცნიერის ინტელექტუალური ოსტატობის მაჩვენებელი გახდება. ასეთ ორიგინალურ მეთოდოლოგიას სოციოლოგიური წარმოსახვა წარმოადგენს.

სოციოლოგიური აზროვნების ახალი წესი: თანამედროვე საზოგადოებაში ცოდნისა და ინფორმაციის ზრდის ლატენტურ შედეგებს ერთ-ერთმა პირველმა სწორედ მილსმა მიაქცია ყურადღება. ერთი შეხედვით, ცოდნა ძალაა და, შესაბამისად, სიკეთე, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივი როდია. ინფორმაციის სიჭარბესა და მოზღვავენას ისეთი პრობლემები შეიძლება მოჰყვეს, რომლებიც არც კი დაგვსიზმრებია. სიჭარბის გამო ადამიანები ინფორმაციის გადამუშავებას ვერ ასაწრებენ, რაც საღი აზრისა და თეორიული რაციონალობის ჩამოყალიბების უნარების პრობლემას ქმნის, მაგრამ ის ძალისხმევა, რომელიც ამ პრობლემების მოგვარებაზე იხარჯება ადამიანის სულიერ-გონითი ძალების გამოფიტვას ახდენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციის გაუგონარი ზრდა საზოგადოების სულიერ-გონით სფეროს ახალ გამოწვევად ევლინება, რასაც საპასუხოდ სოციოლოგიური აზროვნების ახალი წესი უნდა მოჰყვეს, რომელიც პრობლემის არსის გარკვევაში დაგვეხმარება. აზროვნების ამ ახალი წესის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება „გაკვირვების უნარი“ (არისტოტელე, 1964) იქნება, რომლის წყალობით „ადამიანები აზროვნების ახალ წესს შეიძენენ და ღირებულებათა გადაფასებას

¹⁷⁷ იქვე გვ. 253.

¹⁷⁸ იქვე გვ. 13.

მოახდენენ“ და ამით ახალ რეალობთან ადაპტირების პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის (მილსი, 2001).¹⁷⁹

სოციოლოგიური წარმოსახვის დეფინიცია: მილსის მიხედვით, სოციოლოგიური წარმოსახვა „აზროვნებისა და ინტელექტის განსაკუთრებული წესია, რომელიც ჩვენი ყოფის იდუმალი მხარისა და უფრო ფართე სოციალურ სინამდვილესთან მისი კავშირის შესახებ შედარებით ცხად წარმოდგენას იძლევა“ (მილსი, 2001).¹⁸⁰ ამგვარად გაგებული სოციოლოგიური წარმოსახვა არა მხოლოდ სოციოლოგებსა და სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს, არამედ, საერთოდ, ინტელექტუალებს შეეხება. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ მილსის შენიშვნით, სოციოლოგიური წარმოსახვა დროსა და სივრცეში უთანაბროდ არის განაწილებული. მაგალითად „ინგლისში სოციოლოგიას, როგორც დისციპლინას მარგინალური მდგომარეობა უკავია, მაშინ რდესაც ინგლისურ ჟურნალისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე ისტორიულ მეცნიერებაში სოციოლოგიურმა წარმოსახვამ ფართო გავრცელება ჰპოვა“ (მილსი, 2001).¹⁸¹

მილსმა თავის სკანდალურ წიგნში „სოციოლოგიური წარმოსახვა“ ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების გართულებაზე მიაჩნა და ამის საფუძველზე მეთოდოლოგიური მონიშნის უარყოფით ორიგინალური მეთოდოლოგიური ინტეგრალიზმი შემოგვთავაზა. ინდივიდი ერთდროულად საზოგადოების ფორმირებაშია ჩართული და, თავის მხრივ, საზოგადოების გავლენას განიცდის. ამ შემთხვევაში სოციოლოგიური წარმოსახვა კონკრეტულ-ისტორიული სოციალური რეალობისა და ცალკეული ინდივიდის ყოველდღიური ცხოვრების გაგების ანუ მილსის ტერმინებით ისტორიისა და ბიოგრაფიის ერთიანობაში შესწავლის საშუალებას იძლევა, რაც ადამიანის სოციალურ-ისტორიული მნიშვნელობის წვდომაში ხელს გვიწყობს. აქედან ირკვევა, რომ სოციოლოგიური წარმოსახვა საზოგადოების ანალიზის მთელ რიგ მიდგომებს გულისხმობს. ამ მიდგომას ზ. ბაუმანი, პ. ბერგერი და თანამედროვე სოციოლოგიის არაერთი წარმომადგენელი იყენებს.

სოციოლოგიური წარმოსახვა პიროვნული სიძნელეებისა და სოციალური პრობლემების ურთიერთკავშირის შემთხვევაში წარმოქმნილი რეალობის გაგებაში გვხმარება. პიროვნულ სიძნელეებში მილსი ცალკეულ ინდივიდთა პრივატულ პრობლემებს გულისხმობს, რომელთაც ბიოგრაფიული ხასიათი აქვთ, ხოლო სოციალური პრობლემები ინსტიტუციური წესრიგის კრიზისს უკავშირდება. პირადი და ინსტიტუციური პრობლემების საილუსტრაციოდ მილსის მოყვანილი

¹⁷⁹მეტაფიზიკის წიგნში არსიტოტელე ცოდნისა და მეცნიერების საწყისად გაკვირვებას ასახელებდა. მილსს მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში ადამიანმა ეს უნარი - რეალობისადმი შემოქმედებითი შემეცნებითი იმპულსი დაკარგა.

¹⁸⁰Миллс Ч. Р. Социологическое воображение. М. 2001. გვ. 24.

¹⁸¹იქვე გვ. 13.

შემდეგი ერთ-ერთი მაგალითი ასეთია: „ომის დროს პიროვნული პრობლემა გადარჩენას, გმირობის ჩადენას ან ფულის კეთებას უკავშირდება, მაგრამ ომის სტრუქტურული პრობლემების გადასაწყვეტად მისი მიზეზების, ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, ოჯახური და სხვა ინსტიტუტების გავლენის ცოდნა საჭირო“ (მილსი, 2001).¹⁸² სოციალური სტრუქტურის იდეის გაცნობიერება და მისი ადეკვატურად გამოყენების შესწავლა მრავალფეროვანი ინდივიდუალური გარემოსათვის თვალყურის მიდევნებას ნიშნავს. ამის ცოდნა სოციოლოგიური წარმოსახვის ქონას ნიშნავს.

სოციოლოგიური წარმოსახვა ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის და უბედურების პრობლემის გასაღებს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მილსი მიიჩნევს, რომ სოციალური კეთილდღეობა და უბედურება საზოგადოების მიერ აღიარებულ ღირებულებებზეა დამოკიდებული. საზოგადოების წევრებს შორის ღირებულებითი დისონანსის შემთხვევაში სოციალური უბედურება აშკარა ხდება. ხშირად საზოგადოების წევრთა სოციალური გუნება-განწყობილებისადმი უყურადღებობა ეფექტური სოციალური პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული, რომელიც ადამიანთა სოციალურ კეთილდღეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული. საზოგადოების წევრთა სოციალური გუნება-განწყობილების გაგების ეფექტური მექანიზმი, მილსის მიხედვით, სოციოლოგიური წარმოსახვაა.

მეცნიერება სოციოლოგიური წარმოსახვის მიხედვით; მეცნიერების ამბივალენტური ფუნქციონალობის გათვალისწინება: მეცნიერების ტრადიციულ გაგებასთან შედარებით, სოციოლოგიური წარმოსახვა მეცნიერებისა და მეცნიერული ცოდნის შესაძლებლობის მეტად რთულ გაგებას გულისხმობს. განმანათლებლობის ეპოქა მეცნიერების ძლევამოსილობის შესახებ მსჯელობით გამოირჩეოდა. მისი ფუძემდებელი პოზიტივისტი ო. კონტი იყო, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს სოციალურ პროგრესთან აიგივებდა. ეს მოსაზრება ბევრმა ცნობილმა მეცნიერმა გაიზიარა. მათგან განსხვავებით მილსი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც მეცნიერების ამბივალენტურ ფუნქციონალობას ანუ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან კავშირს მიაქცია ყურადღება. მეცნიერებიდან კულტურისა და ჰუმანიზმის განდევნა მორალურ და სოციალურ პრობლემებს იწვევს, რაც იგივე აზროვნების დემორალიზაციაა. ამ შემთხვევაში გამოსავალი სოციოლოგიურ წარმოსახვაშია, რომლის ერთ-ერთი მიზანი ისეთი მეცნიერების იდეაა, რომელიც აზროვნების, გონების მორალიზაციისა და სამართლიანობის პრინციპზე იქნება დამყარებული. აქედან გამომდინარე აუცილებელია მეცნიერების როლის გადაფასება და მისი განხილვა სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

ადამიანი სოციოლოგიური წარმოსახვის მიხედვით: სოციოლოგიური წარმოსახვა ადამიანის მრავალფეროვნების შესაწავლას კულტურული რელატივიზმის

¹⁸² იქვე გვ. 17.

საფუძველზე ახდენს. ადამიანის მრავალფეროვნებაში „ყველა ის სოციალური სამყარო იგულისხმება რომლებშიც შეიძლება ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს ადამიანი. ეს სამყაროები პირველყოფილი ერთობებით იწყება და ძლევამოსილი სახელმწიფოებით მთავრდება“ (მილსი, 2001).¹⁸³ ამ შემთხვევაში მილსი ევროცენტრიზმისა და ეთნოცენტრიზმის მიუღებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და სხვადასხვა ანთროპო ტიპებისა და ინდივიდების შესწავლას მოითხოვს, რადგანაც დღეს მსოფლიოში ქვეყნებს შორის ბრძოლაა გაჩაღებული „პიროვნების ისეთ ტიპზე, რომელიც უპირატესი იქნება ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში, ჩინეთსა და აშშ-ში. ამიტომ შეერწყა ერთმანეთს კულტურა და პოლიტიკა და ამაშია სოციოლოგიური წარმოსახვის აუცილებლობა“ (მილსი, 2001).¹⁸⁴

სოციალური საზრისის დინამიკა: რეალური პროცესების გააზრებას მილსის სოციოლოგიურ ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი უკავია, ოღონდ რეალური პროცესების საზრისების მეშვეობით ასახვა დინამიკის გარეშე წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში მწვავედ დგას ისტორიის გადაფასების პრობლემა, რაც გარდაუვალია, მაგრამ შესაძლებელია ისტორიის გადაფასება აბსურდამდე მივიდეს, რომელიც ადამიანთა კოლექტიურ იდენტობას დააზიანებს. „გადაწერის პროცესში ისტორიის გაუკუღმართებას სულაც არ სჭირდება ჯორჯ ორუელის წინასწამეტყველება“, - წერს მილსი (მილსი, 2001). მისი მოსაზრება საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთვის, რადგან იდეოლოგიური ზედნაშენი ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მოიცილა.

გონება და თავისუფლება, როგორც სოციოლოგიური წარმოსახვის ძირითადი პრინციპები: მილსს მიაჩნია, რომ გონება და თავისუფლება, როგორც ღირებულებითი კატეგორიები დღეს საფრთხეშია. ამ შემთხვევაში მილსის მიერ გამოყოფილი პრობლემებია: სამეცნიერო რაციონალობის აბსოლუტიზაცია და შემოქმედებითი აზროვნების დაკნინება. სამეცნიერო რაციონალობისათვის დიდი ყურადღების დათმობა სულაც არ ნიშნავს ადამიანთა ცხოვრების გონივრულ მოწყობას. „საყოველთაო განათლებამ ტექნოლოგიურ იდიოტიზმამდე და ნაციონალისტურ შეზღუდულობამდე მიგვიყვანა. ბიუროკრატიულმა რაციონალობამ ინდივიდს თავისუფალი აზროვნება წაართვა. რაციონალურად ორგანიზებული საზოგადოებრივი წყობა ინდივიდუალურ ან სოციალურ თავისუფლებას სულაც არ ემსახურება. სინამდვილეში ეს წყობა ტირანიისა და მანიპულირების მექანიზმია, რომლის საშუალებით ადამიანებს თავისუფალი აზროვნებისა და მოქმედების შესაძლებლობა ერთმევათ“ (მილსი, 2001)¹⁸⁵

¹⁸³ იქვე. გვ. 153.

¹⁸⁴ იქვე. გვ. 169.

¹⁸⁵ იქვე. გვ. 167.

სხვა პრობლემაა თავისუფლების მიერ „გონების დაუფლება“, რაც ინდივიდთა მიერ თავიანთი ინტელექტის განვითარებისათვის არაორდინალურ გაცნობიერებულ ძალისხმევას საჭიროებს. მილსი აკრიტიკებს გაუბრალოებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, თავისუფლება ადამიანის ბუნების იმანენტური შემადგენელია და აღნიშნავს: „თავისუფლება რაც მოგვესურება იმის კეთება კი არ არის, არამედ, პირველ რიგში, არჩევანის ვარიანტების განსაზღვრების შესაძლებლობა“ (მილსი, 2001)¹⁸⁶ დღევანდელობამ აჩვენა, რომ თავისუფლება ყველა ადამიანის შინაგანი ბუნებიდან არ მომდინარეობს ანუ ყველას როდი უნდა იყოს თავისუფალი. ზოგი მონობას ირჩევს, რადგანაც შესაბამის გონებრივ ძალისხმევას მოკლებულია.

გონება და თავისუფლება, როგორც სოციოლოგიური წარმოსახვის უმთავრესი პრინციპები, ბუნებრივია, ორგანული კომპონენტებია სოციუმის შემეცნებისათვის. დაინტერესებულ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: სოციოლოგიური წარმოსახვა არა როგორც ტერმინი არამედ, როგორც თეორიული კონცეპტი და მოვლენა არსებობდა თუ არა მილსამდე? ამ კითხვაზე შესაძლებელი პასუხი ასეთია: სოციოლოგიური აზროვნება და სოციოლოგიური წარმოსახვა ერთდროულად გაჩნდნენ. მათ წარმოშობასა და განვითარებას იმანენტური ლოგიკა აქვს. ამ შემთხვევაში მათი ურთიერთკავშირის მექანიკური გაგება მხდველობაში არ უნდა მივიღოთ. სოციოლოგიურ წარმოსახვაში სოციოლოგის პიროვნული თვისებები სოციოლოგიურ აზროვნებასთან შედარებით ფართედ და რელიეფურად წარმოჩნდება. ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ რ. მერტონის მოსაზრება, რომლის მიხედვით, სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამდღვარი საზოგადოების კანონებთან მიმართებაში ორგანიზებული სკეპტიციზმის სახით აზროვნება გახლდათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ორგანიზებული სკეპტიციზმი **სოციოლოგიური წარმოსახვის პირველი ტიპია**, რომელიც სოციოლოგთა პირველი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელს ახასიათებს. მაგ. მარქსმა „თავისუფალ“ ეკონომიკურ ურთიერთობებში „უცხო ნების“ გამოვლინება დაინახა, რომელიც გაუცხოებისა და ნივთიერი ფეტიშიზმის შესახებ კონცეფციების სახით მძლავრ ინტელექტუალურ იმპულსს წარმოადგენდა ამ მიმართულებით შემდგომი კვლევებისათვის.

სოციოლოგიური წარმოსახვის მეორე ტიპი ანტიპოზიტივისტური აზროვნების საფუძველზე ჩამოყალიბდა და აქსიოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით სოციალური მოქმედების შინაგანი, გაუცხოებეიერებელი ლატენტური მექანიზმების გამოვლინებაზე იყო მიმართული. „კაპიტალიზმის სულისკვეთების“ ვებერისეული ანალიზი თანამედროვე კაპიტალიზმის შინაგან საზრისს ავლენს და რაციონალობის, პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციის ახალ ტიპებს აყალიბებს.

¹⁸⁶ იქვე. გვ. 192.

სოციოლოგიური წარმოსახვის მესამე ტიპი მიღსმა შემოგვთავაზა. იგი სოციოლოგიური შემეცნების თვალსაზრისით იმდენად სრულყოფილია, რომ აზროვნების დინამიურ ტიპს შეესაბამება. მარქსისაგან განსხვავებით, თავისუფლებისაკენ სვლა მიღსმა შედარებით რთული დინამიკის კონტექსტით წარმოადგინა, კერძოდ ჰუმანისტური რაციონალობის კულტურის დამკვიდრებით, რომელიც ინდივიდის აქტიურ როლს გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიურ წარმოსახვაში მიღსი საზოგადოების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ტრანსფორმირებაში მკვლევრის აქტიურ პიროვნულ მონაწილეობასაც გულისხმობდა.

სოციოლოგიური წარმოსახვის მეოთხე ტიპი ცნობილმა სოციოლოგმა პიოტრ შტომპკამ შემოგვთავაზა მის შესახებ ახალი კონცეფციის სახით. შტომპკას კონცეფცია რადიკალური მოდერნის რეფლექსური მეტაპარადიგმის ადეკვატურია და სოციალურ რეალობას „მედიანი სამყაროს“ (ე. გიდენსი), „თხევადი მოდერნულობისა“ (ზ. ბაუმანი) და განსხვავებულობათა ზრდის აღიარების კონტექსტით აღიქვამს.

დღეს სოციოლოგები **სოციოლოგიური წარმოსახვის მეხუთე ტიპის** ჩამოყალიბებაზე მსჯელობენ, რომელიც პოსტმოდერნის არასწორხაზობრივი მეტაპარადიგმის ადეკვატური იქნება. მსგავსი კონცეფციის შექმნის მცდელობას ბრიტანელი სოციოლოგის სტივ ფულერის წიგნი: „ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა“ წარმოადგენს (ფულერი, 2018)^{187*}

ს. ფულერის სოციოლოგიური წარმოსახვის ახალი კონცეფცია გაფრთხილებული სინთეზის ტერმინებით აზროვნებას გვთავაზობს, რომლის მაგალითად ისეთი ე.წ. „პროგრესული“ მეცნიერებები გვევლინებიან, როგორებიცაა სოციობიოლოგია, ევოლუციური ფსიქოლოგია და ქცევითი გენეტიკა. ამ ტიპის სოციოლოგიური წარმოსახვა სოციოლოგების ყურადღებას სამეცნიერო ინოვაციების შესაძლებელ მოულოდნელ შედეგებზე მიმართავს, რომლის კონტროლი საეჭვო იქნება. ახალი სოციოლოგიური წარმოსახვის კონცეფცია ბიოლოგიურ რედუქციონიზმს ემყარება და ნანოტექნოლოგიების მეშვეობით შექმნილი რეალობის კონტროლს შეუძლებელს ხდის. ამ ახალმა კონცეფციამ შეიძლება წარმატებით იმუშაოს ისეთ კვლევებში, რომლებიც ჯანმრთელობის რისკებს, დაბერების საწინააღმდეგო დისკურსებსა და ადამიანის სხეულის ახლებურ გაგებას და ინოვაციურ გენდერულ დისკურსებს შეეხება.

სხეულისა და სხეულებრივი ტექნიკების კვლევა თანამედროვე სოციოლოგიაში დრომ მოიტანა. ამიტომ ისეთი პრობლემები, როგორებიცაა სხეულებრიობის საზღვრები, სხეული და ბუნება, კობერსივრცეში მოცეკვავე სხეულები,

¹⁸⁷ იხ. ს. ფულერი, ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა, მ. 2018.

* სტივ ფულერის წიგნი „ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა“ 2008 წელს გამოიცა.

ტრანსსექსუალი და ტრანსგედერი სხეულები, სხეულებრივი ფაქტორი სოციალურ ქსელებში და მრავალი სხვა შეიძლება ახალი სოციოლოგიური წარმოსახვის საფუძველზე კვლევას საჭიროებენ, ამიტომ სოციალური მოქმედების კვლევაში უახლესი პარადოქსალური სინთეზების შემოთავაზება და სამეცნიერო ინოვაციების საექვო შედეგები, ამბივალენტურობაზე აქცენტირება ამ კონცეფციის ძლიერ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ მისი რადიკალური ხასიათი და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სულიერ-გონითი მხარის უგულვებელყოფა მაინც მიუღებელი იქნება.

სოციოლოგიური წარმოსახვის კიდევ ერთ-ერთ მორიგ პოსტმოდერნულ ვარიანტს წარმოადგენს კიბერ-ადამიანის კონცეფცია, რომლის არსებობა უახლესი ტექნოლოგიებისა და „ინტელექტუალური მანქანების“ - კომპიუტერებისა და ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. ეს მანქანები ხელოვნურ ინტელექტთან ერთად უკვე დიდ გავლენას ადხდენენ თანამედროვე აქტორთა ფუნქციონირებაზე და მათ ახალ ძალაუფლებრივ შესაძლებლობებს სთავაზობენ. ყოველივე ეს ახალი პერსპექტივებისა და გამოწვევების წინაშე აყენებს სოციოლოგიას.

მიგვაჩნია, რომ სოციოლოგიური წარმოსახვის ახალი კონცეფციის საჭიროება, ბუნებრივია, აუცილებელია, გართულებული სოციოკულტურულ დინამიკისა და ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, მაგრამ, ჩვენი აზრით, შემოთავაზებულ კონცეფციებს ჰუმანიზმი და სულიერება აკლიათ, რაც თითოეული მათგანის სერიოზულ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე, (1964). მეტაფიზიკა, თბ.
2. ბერძენიშვილი ა. (2019). თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, ელექტრონული სახელმძღვანელო, თსუ.
3. ბერძენიშვილი ა, ქეცბაია კ. (2022). თანამედროვე სოციოლოგიური დისკურსი, თბ.
4. ბერძენიშვილი ა. ქეცბაია კ. (2021). სოციოლოგიის საგნის შესახებ პაატა გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის კრიტიკული ანალიზის მიხედვით. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ # 3.
5. მილსი ჩ. რ. (2018). სოციოლოგიური წარმოსახვა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ყოველწლიური ელექტრონული ჟურნალი: „სოციალური იდეა“ # 1. ე. ლეკიშვილის თარგმანი. მთ. რედ. კ. ქეცბაია. თბ.
6. ფულერი ს. (2018). ახალი სოციოლოგიური წარმოსახვა, მ.
7. ქეცბაია, კ. (2012). ჩ.რ. მილსი წიგნში: „სოციოლოგიის კლასიკოსები - პერსონალია“, დ. ზაქარაია, კ. ქეცბაია, თბ.
8. Cane N. (2006). New Theoretical Movements: The Challenge of the 'Posthuman', XVI World Congress of Sociology.

9. Кравченко С. (2009). Динамика социологического мышления и воображения, Социс. № 8.
10. Кравченко С. (2010). Динамика социологического воображения: всемирная культура инновационного мышления. М.
11. Штомпка П. (2001). Теоретическая социология и социологическое воображение, Социологический журнал. № 1.

Sociological Thinking and Sociological Imagination According to Charles Wright Mills

Amiran Berdzenishvili¹; Kakha Ketsbaia²

¹Doctor of Philosophy, Iv. Javakishvili Tbilisi State University, Professor Department of Sociology and Social Work, e-mail: amiran.berdzenishvili@tsu.ge

²Doctor of Philosophy, Iv. Javakishvili Tbilisi State University, Associate Professor Department of Sociology and Social Work, e-mail: kakha.kecbaia@tsu.ge

Abstract

The article presents an analysis of the conception of sociological imagination by the outstanding American sociologist Charles Wright Mills. In the article, the necessity of sociological imagination in sociology is shown, as well as the positive and negative aspects of this conception. The authors of the article offer critical interpretations of such issues as: the necessity of an original methodology in sociology; the necessity of a new regulation of sociological thinking; dynamic of sociological meaning; the essence of sociological imagination; science seen from the viewpoint of sociological imagination; consideration of the ambivalent functioning of science; man according to sociological imagination; reason and freedom as the main principles of sociological imagination; types of sociological imagination and Srive Fuller's new conception of sociological imagination the products of which are such "progressive" sciences as sociobiology, evolutionary psychology and behavioral genetics. Such a type of sociological imagination draws the attention of sociologists to the possible unexpected results of scientific innovations, which would be impossible to control in future. The new conception of sociological imagination relies on biological reductionism and doubts the control of the reality created by means of nanotechnologies. This new conception may prove successful in research concerned with the health risks, anti-ageing discourses and an innovative understanding of the human body and gender discourses.

The authors of the article think that the study of the body and bodily techniques is a result of the present times. Therefore, such problems as the boundaries of corporeality, body and nature, bodies dancing in cyberspace, trans-sex and transgender bodies, corporeal factor in the social webs and many others may demand research based on a new sociological

imagination. Therefore, offering the newest paradoxical synthesis of social action and questionable results of scientific innovations, stressing ambivalency can be accepted as a powerful aspect of this conception, though its radical character and ignorance of the spiritual-rational aspect in man's everyday life will remain unacceptable.

One more postmodern variant of sociological imagination is the conception of cyber-human, the existence of which is unimaginable without the newest technologies and "intellectual machines" – computers and artificial intelligence. These machines, paired with artificial intelligence, already make a serious impact on the functioning of contemporary actors and offer them new power possibilities. Everything mentioned places sociology face-to-face with new perspectives and challenges.

We think that the necessity of a new conception of sociological imagination is, naturally, imminent in the epoch of complicated social-cultural dynamics and artificial intelligence, though, in our opinion, the suggested conceptions lack humanism and spirituality, and it should be considered a serious fault.

Keywords: sociology, sociological thinking, sociological imagination, new regulation of sociological thinking, sociological meaning, ambivalent function of science, types of sociological imagination, new sociological imagination, artificial intelligence, cyber-human.